საქართველოს პარლამენტი

ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი

№13901/4-7
21.11.17

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და
სოციალური დაცვის მინისტრს,
ბატონ დავით სერგეენკოს

ბატონო დავით,

მაქვს პატივი, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის სახელით მოგიწვიოთ საერთაშორისო საპარლამენტო კონფერენციაზე „ევროკავშირი და პარტნიორები – მრავალფეროვნება ძლიერი ერთობისთვის", რომელიც გაიმართება თბილისში, 2017 წლის 4 და 5 დეკემბერს.

კონფერენციაში მონაწილეობას მიიღებენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნების, „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ქვეყნების, ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრი ქვეყნების ეროვნული პარლამენტების წევრები, ევროპარლამენტის წევრები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

ღონისძიებაზე განიხილება ევროკავშირის თანამშრომლობა ევროკავშირის წევრობის კანდიდატ და „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ქვეყნებთან, აგრეთვე ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრ ქვეყნებთან. სპიკერები და მონაწილეები გააანალიზებენ გარე და შიდა ფაქტორებით განპირობებულ გამოწვევებს, იმსჯელებენ საერთო მომავალზე, ევროკავშირის წევრობის პერსპექტივებზე, იმ რეფორმების სირთულეებზე, რომელთა განხორციელებაც ევროკავშირის წევრობის კანდიდატ და „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ქვეყნებს უხდებათ ევროკავშირთან ინტეგრაციის გზაზე. კონფერენციის მონაწილეები ერთმანეთს გაუზიარებენ ევროკავშირთან ინტეგრაციის სარგებელსა და გამოწვევებთან დაკავშირებით მოსახლეობის მოლოდინის მართვის გამოცდილებას, ყურადღებას დაუთმობენ ანტიდასავლური პროპაგანდის უარყოფით შედეგებსა და მზარდ პოპულიზმს, განიხილავენ ევროკავშირში არსებულ მდგომარეობას, იმსჯელებენ მზარდი გამოწვევების ფონზე პარტნიორებთან სამომავლო თანამშრომლობის სტრატეგიის შემუშავებაზე.

კონფერენცია გაიხსნება 4 დეკემბერს, 09:00 საათზე, საქართველოს პარლამენტის სასახლის (თბილისი, რუსთაველის გამზირი №8) პლენარულ სხდომათა დარბაზში.

გთხოვთ, იხილოთ კონფერენციის დღის წესრიგი და 27 ნოემბრამდე დაადასტუროთ მონაწილეობა ელექტრონული ფოსტის მისამართზე: protocol@parliament.ge. მონაწილეთა სია და დამატებითი ინფორმაცია უახლოეს მომავალში განთავსდება საქართველოს პარლამენტის ვებგვერდზე.

პატივისცემით,

თ. ხულორდავა

თამარ ხულორდავა
ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე

4600, ქ. ქუთაისი, ი.აბაშიძის გამზ. №26 საქართველოს პარლამენტის სასახლე
ტელეფონი: (995 32) 2281679, ელ.ფოსტა: contact@parliament.ge

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

PARLIAMENT
OF GEORGIA

UNDP
Empowered lives.
Resilient nations.

საერთაშორისო საპარლამენტო კონფერენცია

ევროკავშირი და პარტნიორები -

მრავალფეროვნება ძლიერი ერთობისთვის

4 - 5 დეკემბერი 2017
თბილისი, საქართველო

პ რ ო გ რ ა მ ა

ორშაბათი, 4 დეკემბერი 2017

8:30	**მონაწილეთა რეგისტრაცია, ყავა / ჩაი** *(საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზის ფოიე)*
9:00 – 10:00	**კონფერენციის გახსნა** **ქ-ნი თამარ ხულორდავა** - საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე **ბ-ნი ირაკლი კობახიძე** - საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე **ბ-ნი გიორგი კვირიკაშვილი** - საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ბ-ნი რიჩარდ ჩარნეცკი** - ევროპარლამენტის ვიცე-პრეზიდენტი **ელჩი იანოშ ჰერმანი** - ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი საქართველოში **ბ-ნი ნილს სკოტი** - გაეროს მუდმივი კოორდინატორი / გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენელი საქართველოში
10:00 – 10:20	**საქართველოს ვიცე-პრემიერის, საგარეო საქმეთა მინისტრის, ბ-ნი მიხეილ ჯანელიძის მიმართვა კონფერენციის მონაწილეებისადმი**
10:20 – 10:40	**შესვენება ყავაზე** *(საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზის ფოიე)*
10:40 – 12:30	**სესია I - ევროპული ინტეგრაცია - მამოძრავებელი ძალა ძლიერი დემოკრატიისა და კეთილდღეობისთვის** *სესია დაეთმობა ასოცირების შესახებ შეთანხმებებისა და ევროკავშირთან თანამშრომლობის სხვა ინსტრუმენტების ფარგლებში მიმდინარე პოლიტიკური და ეკონომიკური რეფორმების მიმოხილვას. გამომსვლელები ისაუბრებენ რეფორმების პოზიტიურ შედეგებზე, მიღებულ სარგებელსა და მიღწევებზე, ისევე, როგორც ქვეყნის ტრანსფორმაციის პროცესში არსებულ გამოწვევებზე. გამომსვლელები ყურადღებას გაამახვილებენ იმაზე, თუ რამდენად ახდენს ევროპული ინტეგრაცია გავლენას საზოგადოების გარდაქმნაზე, დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობასა და გაძლიერებაზე, კორუფციასთან ბრძოლაზე, სიღარიბის დაძლევაზე და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაზე.* *მოხსენებების შემდეგ გაიმართება დისკუსია.* ***მოდერატორი: ქ-ნი თამარ ხულორდავა*** *- საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე* **მომხსენებლები:**

ქ-ნი თამარ ჩუგოშვილი – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე
ბ-ნი ივან ბრაჟოვიჩი – მონტენეგროს პარლამენტის თავმჯდომარე
ბ-ნი ანდრიუს კუბილიუსი – ლიტვის რესპუბლიკის ყოფილი პრემიერ მინისტრი, ლიტვის რესპუბლიკის სეიმის ევროპულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე
ქ-ნი მარია იონოვა – უკრაინის უმაღლესი რადას ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე
ქ-ნი გაბრიელა კრეტუ - რუმინეთის სენატის ევროპულ საქმეთა კომიტეტის პრეზიდენტი
ბ-ნი მირო კოვაჩი – ხორვატიის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე

12:30 – 12:40 **საერთო ფოტოს გადაღება**
(საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზის ფოიე)

12:30 – 14:00 **სადილი**
(საქართველოს პარლამენტის შოთა რუსთაველის სახელობის დარბაზი)

14:00 – 15:30 **სესია II - ევროინტეგრაციის საკანონმდებლო დღის წესრიგის განხორციელებასთან დაკავშირებული გამოწვევები**

სესია დაეთმობა ევროინტეგრაციისკენ მიმართული საკანონმდებლო რეფორმების განხორციელების პროცესში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთქმედების განხილვას. გამომსველელები იმსჯელებენ იმაზე, თუ რამდენად უწყობს ხელს ხელისუფლების შტოებს შორის არსებული კონკურენცია საკანონმდებლო რეფორმების სისწრაფესა და ხარისხს ან პირიქით, ხომ არ აფერხებს დღის წესრიგის სრულფასოვნად შესრულებას. მომხსენებლები ისაუბრებენ პარლამენტის როლზე, ერთის მხრივ საკანონმდებლო რეფორმების გატარების გზით, უზრუნველყოს ევროკავშირის სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩოს ჩამოყალიბება, და მეორეს მხრივ, განახორციელოს მკაცრი საპარლამენტო ზედამხედველობა აღმასრულებელ ხელისუფლებაზე. გამომსვლელები იმსჯელებენ კომპლექსური რეფორმების არასასურველ შედეგებზე პასუხისმგებლობისა და მიღწეული წარმატებისთვის ხელისუფლების შტოებს შორის ტვირთის გადანაწილებაზე. სესიაზე ყურადღება დაეთმობა ევროკავშირის წევრი ქვეყნების მიერ გაწევრიანების პროცესში მიღებულ გამოცდილებას.

მოხსენებების შემდეგ გაიმართება დისკუსია.

მოდერატორი: ბ-ნი ტობიას შუმახერი *- ვარშავის ევროპის კოლეჯის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის დეპარტამენტის თავმჯდომარე, ლისაბონის უნივერსიტეტის საერთაშორისო კვლევების ცენტრის უფროსი მკვლევარი*

მომხსენებლები:

ქ-ნი ლოლიტა ჩიგანე – ლატვიის რესპუბლიკის სეიმის ევროპულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე
ბ-ნი პიოტრ ვოჩი – პოლონეთის რესპუბლიკის სენატის მეცნიერების, განათლებისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, საგარეო და ევროპულ საქმეთა კომიტეტის წევრი
ქ-ნი ირინა ფრუიძე – საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე
ბ-ნი მიჰრან ჰაკობიანი – სომხეთის რესპუბლიკის პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის მუდმივმოქმედი კომიტეტის წევრი
ბ-ნი ნიკოლა რაკოჩევიჩი - მონტენეგროს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის წევრი

15:30 – 15:45 **შესვენება ყავაზე**
(საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზის ფოიე)

15:45 – 17:15 **სესია III - ინტეგრაციამდე და ინტეგრაციის შემდეგ: საზოგადოების მოლოდინის მართვა და ბრძოლა ანტი-დასავლური პროპაგანდის წინააღმდეგ**

სესია დაეთმობა ანტი-დასავლური პროპაგანდისა და პოპულიზმის ზრდის ზეგავლენის, აგრეთვე ევროკავშირის იმიჯის შელახვის საფრთხის საპასუხოდ სტრატეგიული კომუნიკაციის მნიშვნელობის განხილვას. გამომსვლელები იმსჯელებენ ევროკავშირში გაწევრიანების პროცესთან დაკავშირებული ფართომასშტაბიანი და მტკივნეული რეფორმების შესახებ საზოგადოებასთან კომუნიკაციის საუკეთესო გამოცდილებაზე, მიღებული სარგებლისა და შესაბამისი სირთულეების შესახებ საზოგადოების მოლოდინის მართვაზე. მომხსენებლები ისაუბრებენ ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივის მნიშვნელობაზე, როგორც აუცილებელი ცვლილებების ხელშეწყობისა და პროპაგანდის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურ ინსტრუმენტზე. მომხსენებლები ყურადღებას გაამახვილებენ პარლამენტის როლზე საერთო ფასეულობების დამკვიდრებაში და ევროკავშირში ინტეგრაციისადმი საზოგადოების მხარდაჭერის გაძლიერებაში. გამომსვლელები იმსჯელებენ ევროპული ინტეგრაციის დღისწესრიგის თაობაზე პოლიტიკურ პარტიებს შორის შეთანხმების მიღწევასთან და შენარჩუნებასთან დაკავშირებულ გამოწვევებზე.

მოხსენებების შემდეგ გაიმართება დისკუსია.

***მოდერატორი: ბ-ნი დემიენ მაკგინესი** - კორესპონდენტი, BBC, ბერლინი*

მომხსენებლები:
ბ-ნი ნენად ჩანაკი – სერბეთის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე
ბ-ნი ბატონი გედიმინას კირკილასი – ლიტვის რესპუბლიკის ყოფილი პრემიერ-მინისტრი, ლიტვის რესპუბლიკის სეიმის ევროპულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე
ქ-ნი სოფიო ქაცარავა – საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე

ბ-ნი ბორის ტარასიუკი – უკრაინის უმაღლესი რადას საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეაში უკრაინის ეროვნული დელეგაციის ხელმძღვანელი
ქ-ნი თინა აკეტოფტი – შვედეთის სამეფოს პარლამენტის წევრი
ბ-ნი ვესელ მემედი - მაკედონიის ყოფილი იუგოსლავიის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის ევროპულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

17:15 – 17:30	**შეჯამება:** **ქ-ნი თამარ ხულორდავა,** საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე
17:30 – 19:00	**თავისუფალი დრო**
19:00	**მიღება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის სახელით** *(რესტორანი „ფუნიკულიორი")*

სამშაბათი, 5 დეკემბერი, 2017

09:30	**ყავა / ჩაი** *(საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზის ფოიე)*
10:00 – 11:30	**კონფერენციის მეორე დღის გახსნა**

სესია IV – თანამშრომლობის გაღრმავება ევროკავშირსა და პარტნიორებს შორის - რეალობა, პერსპექტივები და თანამშრომლობის ფორმები

მომსენებლები ისაუბრებენ ევროკავშირსა და ევროპის თავისუფალი ვაჭრობის ასოციაციის წევრ სახელმწიფოებს, კანდიდატ ქვეყნებსა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობის ფორმებზე. განიხილება ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობების, აგრეთვე ენერგეტიკისა და უსაფრთხოების სფეროში თანამშროლობის გაღრმავების პერსპექტივები ერთის მხრივ ევროკავშირსა და მის პარტნიორებს, ხოლო მეორეს მხრივ, ევროკავშირის პარტნიორებს შორის. მომხსენებლები ისაუბრებენ ევროკავშირში ინტეგრაციის პროცესში არსებული ორი განსხვავებული მიდგომის: „ერთი მიდგომა ყველასთვის" და „მეტი მეტისთვის" დადებითი და უარყოფითი მხარეების შესახებ. განხილული იქნება ევროკავშირთან უფრო ღრმა პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის პერსპექტივები ევროკავშირში გაწევრიანების გარეშე, მათ შორის ფუნქციური ინტეგრაცია ევროკავშირის პროგრამებში ეტაპობრივი ჩართულობით, სექტორული ინტეგრაცია და ევროკავშირის ოთხი თავისუფლებით მიღებული სარგებელი.

მოხსენებების შემდეგ გაიმართება დისკუსია.

მოდერატორი: ლევან დოლიძე, *საქართველოს უსაფრთხოებისა და განვითარების ცენტრის დირექტორი (TBC)*

მომხსენებლები:

ბ-ნი სერგი კაპანაძე – საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე

ბ-ნი მარიან ლუპუ – ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეის თანათავმჯდომარე და მოლდოვას ეროვნული დელეგაციის ხელმძღვანელი ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეაში

ბ-ნი კრისტიან ივანოვ ვიგენინი – ბულგარეთის რესპუბლიკის ეროვნული ასამბლეის ევროპულ საქმეთა და ევროპის სამეზობლო ფონდების ზედამხედველობის კომიტეტის თავმჯდომარე

ბ-ნი სამედ ისმაილ ოღლუ სეიდოვი – აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის საერთაშორისო და საპარლამენტთაშორისო ურთიერთობების კომიტეტის თავმჯდომარე

ქ-ნი მარია სორაია როდრიგეს რამოსი – ესპანეთის დეპუტატთა კონგრესის ევროკავშირის საქმეთა გაერთიანებული კომისიის თავმჯდომარე

ქ-ნი კლერ მუდი – ევროპარლამენტის წევრი, ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის წევრი

11:30 – 11:45 **შესვენება ყავაზე**

(საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზის ფოიე)

11:45 – 13:15 **პანელი 5 - ევროკავშირის მომავალი**

ბოლო დროს, ევროპული თანამშრომლობის 60 წლის იუბილესთან ერთად და რიგი გამოწვევების ფონზე (ბრექსიტი, მიგრანტთა და ლტოლვილთა კრიზისი, მემარჯვენე პოპულიზმის ზრდა, რუსეთის ანტი-დასავლური პროპაგანდა, უსაფრთხოების საკითხები, გლობალური ეკონომიკური დინამიკა) ევროკავშირის მომავალი სულ უფრო ფართო განხილვის თემად იქცა. სესიაზე იმსჯელებენ ევროპის მომავალზე გლობალური მოვლენების კონტექსტში, ევროკავშირის უნარზე და შესაძლებლობებზე, მოერგოს ახალ რეალობას (ტექნოლოგიური პროგრესი, ეკონომიკური ძალაუფლების გადანაცვლება და ა.შ) და შეინარჩუნოს წამყვანი როლი გლობალური დღისწესრიგის განსაზღვრაში. გამომსვლელები იმსჯელებენ, თუ როგორ აისახება ევროკავშირის განვითარების სამომავლო სცენარები მის პარტნიორებზე, ისევე, როგორც პარტნიორების შესაძლებლობაზე, წვლილი შეიტანონ ევროპის გაძლიერებაში.

მოხსენებების შემდეგ გაიმართება დისკუსია.

მოდერატორი: ბ-ნი დირკ ტურნსტრა *- ექსპერტი, ევროპარლამენტის ყოფილი მაღალი რანგის მოხელე*

მომხსენებლები:

ელჩი იანოშ ჰერმანი - ევროკავშირის წარმომადგენლობის ხელმძღვანელი საქართველოში

ქ-ნი სალომე ზურაბიშვილი – საქართველოს პარლამენტის დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე

ბ-ნი ოიარს ერიკს კალნინში – ლატვიის რესპუბლიკის სეიმის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე

ქ-ნი კეით პენტუს-როზიმანუსი – ესტონეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე

ბ-ნი კახა გოგოლაშვილი - ევროპული კვლევების ცენტრის დირექტორი

ქ-ნი ანა გომესი – ევროპარლამენტის წევრი, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საპარლამენტო კომიტეტის წევრი

13:15 – 13:30 **კონფერენციის დახურვა**

ქ-ნი თამარ ხულორდავა - საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე